

საქართველო - ყწირვეფეს ყოფდისა!  
გელაქტიონი

# ახალგორი

ახალგორის  
მუნიციპალიტეტის  
გაზეთი

№10(114)  
ოქტომბერი  
2023 წელი

გამოდის თვეში  
ერთხელ

## პრისტაპობა – ახალგორელთა სახალხო დღესასწაული



ყველაფერი შესავლით იწყებაო, ამბობენ და მეც ვერ შევძელი ჩემი გულწრფელი სიყვარული და სიხარული, აღმატებული პატივისცემა არ გამომეხატა ამ სტრიქონებით, თვალბში მომდგარი კურცხალივით დასკუბებული სიხარულის ცრემლი რომ ამიკაფდა და ამიკაშკაშდა, როცა წეროვნის დევნილთა დასახლებაში შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების, ჩვენი საამაყო წინაპრების, წმინდანებად შერაცხულთა, ხსენების დღეს ზეიმობდნენ ახალგორელები.

ვუცქეროდი მშვენიერ ასულებსა და კდემამოსილ ქალბატონებს, ბრგე და საკაიყმოდ შემართულ, გალალბულ მოზარდებსა და ახალგაზრდებს, ოდნავ სევდაჩამდგარ კაცებს (აქაოდა, აქ კი არა, ქსნის ხეობაში უნდა ვზეიმობდეთო) და ყველას მოფერება, გულში ჩაკვრა და გამხნეება მომინდა... ამდენი სილამაზე, ამდენი სილალე მტერსაც კი გულს მოუღობოდა და ალაფროთოვანებდა...

„გილოცავთ ერისთავობას!“ – ყველას ეს სიტყვები ეკერა ღიმილიან სახეზე... მათ შემხედვარეს არ შეიძლებოდა არ გეგრძნო მათი გულისთქმაც, ჩუმი ლოცვა, ნათელი იმედი, რომ მალე ერისთავობა გვეზეიმა ქსნის ხეობაში, სადაც ისტორიის ფოლიანტები ინახავს მათ ნატერფალებს, მათ გმირულ წარსულს, ოკუპირებული ახალგორის რაიონულ ცენტრში უკვდავების დასტურად ქვად ქცეულნი რომ დარაჯობენ ჩვენს სამოთხე კუთხეს...

1659 წლის კახეთის აჯანყების გამარჯვებისათვის მათმა თავდადებამ მართო კახეთი კი არა, სრულიად საქართველო გადაარჩინა.

არც ჩვენ დაგვაკლო ომი და ქართველი არსთა გამრიგემ...

2008 წლის ომის მოუშუშებელ ტკივილთან ერთად გვასწავლა ცხოვრება, ჭირთა მძლეებსა და სატივიარშეჩვეულებს, იმის ძალაც მოგვმადლა, ერთიანად მოვილხინოთ, ვიზეიმოთ, უკვდავეყოთ გმირი და წმინდანი წინაპრები... სწორედ ეს ღვთიური მადლი და ძალა გამოკრთოდა წეროვნის დევნილთა დასახლებაში ახლად აშენებული სკვერის სახელდახელოდ გამართულ ღია სცენაზე, სადაც დიდებულად მღეროდნენ, ცეკვავდნენ ახალგორელებიც და მოწვეული სტუმრებიც.

გაგრძელება მე-2 გვერდზე




# პრისტავობა — ახალგორელთა სხალსო დღესსნაული

## პირველი გვერდიდან

მანამდე კი, დილით, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის სახელზე წირვა აღევლინა.

შემდეგ ქსნისხეობელთა ლამაზი ტრადიციული ჭიდაობა გაიმართა. „ჭიდაობას რა უნდა, ფეხის ნამოკვრა უნდაო“, აზრიალდა, აზუზუნდა, აგუგუნდა დოლ-გარმონი... ჭიდაობაში ახალგორელებთან ერთად მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული ფალავნები.

შეჯიბრი ხუთ წონით კატეგორიაში გაიმართა. გამარჯვებულებს ფულადი პრიზები გადაეცათ, აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამარჯვებულს კი ცხვარი აჩუქეს (ესეც ახალგორელთა ტრადიციის გაგრძელება იყო)...



ამ დღეს კიდევ ერთხელ ვირწმუნეთ, რომ ქსნის ხეობელები განსაკუთრებული ნიჭით არიან დაჯილდოებულნი, რაზედაც მეტყველებდა გამოფენა, – არაჩვეულებრივი, დახვეწილი გემოვნებით შესრულებული ნახატები, ხელნაკეთი ნივთები, „იკორთას“ ოქროსხელება ქალბატონების მიერ დამზადებული ვერცხლის სამკაულები, ხეზე კვეთის დიდოსტატის,

საოცარი ფანტაზიისა და შემოქმედის ზაზა გათენაშვილის მიერ დამზადებული, სხვადასხვა დროს ქსნის ხეობაში გავრცელებული საოჯახო ნივთების (ტაგანი, სამზითვო სკივრი) გამოფენა. დამთვალეიერებელსაც თავისი ენაწყლიანობით უხსნიდა, მაგალითად, რას ნიშნავს ტაგანი, რა დანიშნულება ჰქონდა მას. ტაგანი ერთგვარი მარილის შესანახი ჭურჭელი ყოფილა, რომელსაც პატარა თოკით ჰკიდებდნენ ბუხართან, რომ ბავშვს არ დაეპნია. მაშინ მარილი პურზე და ღვინოზეც ძვირი იყო თურმე.

„ერისთავობის“ ზემის ბოლო მაჟორული აკორდი – სკვერში ღია სცენიდან ჰანგები, მილოცვები მთელს არემარეს თითქოს ფორტე შეძახილით ავსებდა; ჩვენი ტაძარი, ჩვენი სალოცავი გზა, ჩვენი სამოთხე ბუდე ქსნის ხეობაა, სადაც აუცილებლად დაგვრუნდებით....



ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი  
**რედაქტორი ანა ყურშავიშვილი**  
 კონტაქტი: ტელ: +995 593 501279  
 mail: gazeti.akhalgori@gmail.com



ზეიმის მონაწილეებისა და მონვეული სტუმრების წინაშე სიტყვით გამოვიდნენ ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელი ნუგზარ ფსუტური, ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია და სხვები, რომელთაც „ერისთავობა“ მიულოცეს ახალგორელებს, მონვეულ სტუმრებს, სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ახალგორელ ემიგრანტებს, ოკუპირებულ ახალგორში ამჟამად მცხოვრებ ქართველებს, ოსებს და მათ კეთილდღეობა, სიკეთე, ოჯახების სიმტკიცე, უფლის წყალობა უსურვეს, იმ ლამაზი იმედით, რომ ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით და ეს დაბრუნება იქნება ძალიან ღირსეული.

საზეიმო ღონისძიება მიჰყავდათ ანი მამამთავრის შვილსა და ნიკა ელბაქიძეს.

## გაგრძელება მე-4 გვერდზე



# პრისტავობა – ახალგორჯელთა სახლსო დღესასწაული

მე-3 გვერდიდან

ანსამბლმა „ლომისმა“ ჩვეული ომახიანი ქართული ხალხური, ფოლკლორული სიმღერებით გაალამაზა „ერისთავობა“.

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ადგილობრივი ქორეოგრაფიული ანსამბლები: „ივერია“ და „ქორული“. ხალხურ საკრავთა ანსამბლი „მომავალი თაობა“ განახლებული პროგრამით წარსდგა მაყურებლის წინაშე, მათ რეპერტუარზე და მაყურებლის წინაშე წარმატებულად გამოსვლაზე ანსამბლის ახალმა ხელმძღვანელმა დავით გაჩეჩილაძემ იზრუნა.



„მეცხვარის ღლიღან“ პრისტავობამდე...

კვლავ მაყურებელთა აპლოდისმენტები დაიმსახურეს: სამეჯლისო სტუდიამ „წეროები“ და სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა.

„ერისთავობაზე“ მოწვეული იყო ანსამბლები: „ჩვენებურები“, „ეთნოსი“, ასევე ინდივიდუალური შემსრულებლები: თინათინ ჭულუხიძე, მირანდა მაისურაძე, ზურაბ მირზიაშვილი, რომელთაც მასპინძლების გულწრფელი აპლოდისმენტები დაიმსახურეს.

„ერისთავობას“ ესწრებოდნენ სტუმრები მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციიდან და მცხეთის მერიიდან, ასევე, ქსნის ხეობის საამაყო შვილები: მხატვარი, აკადემიკოსი ნიკო ხერკელაძე, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი და პოეტი დათო ახლოური, სრულიად საქართველოს საყვარელი პოეტი ტარიელ ხარხელაური, ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია და სხვები...

**ბოლოთქმა:** ქსნისხეობელთა საკარგემო და სავაჟუკაცო ასპარეზი მეცხვარეობა იყო ოდითგან; ბარაქისა და დოვლათის, სიუხვისა და სიმდიდრის სიმბოლოც ცხვარი იყო ქსნის ხეობაში... მუხლჩაუხრელი და მკლავმოულელი ქსნისხეობელი მეცხვარეები ათასობით კილომეტრს გადიოდნენ ფეხით, კავკასიონის მთებზე რომ გადაერეკათ ფარები ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე და გაზაფხულობით დიდი ნამაგით, გამრავლებული ფარებით დაბრუნებულიყვნენ სახლში.

საბჭოთა კავშირის დაშლის თანამდევნი კატაკლიზმები ამ დარგსაც შეეხო. ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე აღარ გაგვატარა „დიდმა“ რუსეთმა... ზამთარში შეუძლებელი აღმოჩნდა ათი ათასობით ცხ-

მოაპაალი წლიდან წაპაააღელთა სამსახური არსებითად შევსვლილი იქნება

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ჯუანშერ ბურჭულაძემ პარლამენტში, „მინისტრის საათის“ ფორმატში გამოსვლისას თავდაცვის კოდექსით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან ცვლილებებზე ისაუბრა. „კოდექსით დავარგულირეთ არაერთი ხარვეზი. მინდა, გამოვყო ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც კოდექსმა დაარეგულირა... – წვევამდელთა სამსახური იქნება მხოლოდ თავდაცვის ძალებში და მომავალი წლიდან არსებითად შეცვლილი იქნება. ასევე, დარეგულირდა სამხედროებისთვის სოციალური გარანტიები, რაც საშუალებას მოგვცემს, შევინარჩუნოთ ოფიცერთა შემადგენლობა და მათ ჰქონდეთ გარანტირებული პირობები“

ტირებული პირობები“, — აღნიშნა ჯუანშერ ბურჭულაძემ. მინისტრის განმარტებით, სამუდამოდ აღმოიფხვრა ნაკლოვანებები, რაც უკავშირდებოდა ფიქტიურ „რელიგიურ ორგანიზაციებს“, რომლებიც ხელს უწყობდნენ წვევამდელებს ჯარისგან თავის არიდებაში. „ფიქტიური რელიგიური ორგანიზაციები დიდ პრობლემას წარმოადგენდა... პირობითად, 90% ვისაც უნდოდა თავის არიდება სავალდებულო სამსახურისთვის, იყენებდა ამ საშუალებას. ეს ხარვეზი ჩვენ გამოვასწორეთ და, იმედია, ამის ირგვლივ გავერთიანდებით“, — აღნიშნა ჯუანშერ ბურჭულაძემ.

ვრის გამოკვება ქსნისხეობის მალალ თოვლიან მთებზე... დაშრა, დაინრიტა მეცხვარეობა... ვერც შირაქის ველზემოხერხდა ფარების გადარეკვა და გამოკვება...



ავადსახსენებელი საბჭოთა კავშირის დროს მაინც გვექონდა ერთი ლამაზი სახალხო დღესასწაული – მეცხვარის დღე – საყოველთაო ზეიმი, სადაც დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, ყველა მონაწილეობდა.

სწორედ მაშინ გავიხსენეთ მივიწყებული მეცხვარის დღის დღესასწაული... სინაწულიც შემოგვეპარა: აღარც ცხვარი, აღარც მეცხვარე... ადამიანების ერთი ნაწილიც დაპირისპირებული იყო ერთმანეთთან სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების თუ აზრთა განსხვავებულობის ნიშნით. და სხვათა შორის, იმ დღეებში მეზობელ რაიონში სახალხო დღესასწაულს დასწრებოდა გამგებელი და გვიზიარებდა შთაბეჭდილებებს.

იმდროინდელ 4-გვერდიან რაიონულ გაზეთსაც ფერადს ანუ საზეიმოს ვბეჭდავდით (მაშინ რესპუბლიკური გაზეთებიც შავ-თეთრი გამოდიოდა)... ახლაც ხალხისთ ვიხსენებ ამ დღეების მზადების სიხარულსა და სილამაზეს. ახალგორის ცენტრალურ პარკში შეკრებილთ ყველას ეს მოციხფრო-მოლურჯო გაზეთი ეკავა და მართლა გულწრფელი ინტერესით კითხულობდა (მაშინ ინტერნეტი და მობილური ტელეფონი არ არსებობდა) რაიონის მეცხვარეთა გარჯისა და შრომის შედეგად მიღწეულ წარმატებებს.

იდეა დამებადა, ახალგორშიც დაგვეწესებინა რაიმე დღესასწაული, თუნდაც ახალგორობა (საზიმი კი გვექონდა, ლენინგორს რომ დავაღწიეთ თავი)... შევატყვევ, არცერთს მოეწონა მაინცდამაინც და მეორე იდეა მივანოდე: „ერისთავობა“ დავანესოთ, ორ ოქტომბერს მათი ხსენების დღეა-მეთქი. შემოდგომის პირი იყო... აგერ, ბრწყინვალე ერისთავების სასახლეები გვაქვს აქაც და იკოთშიც და ჩავატაროთ-მეთქი. მოეწონათ, ერთმანეთს შეხედეს.

დოლით, ამ უმშვენიერესი და უძველესი სპორტით იწყებოდა დღესასწაულის დილა... დააგეგვებდნენ რაშებს შრომისა და მზისგან გარუჯული კუნთმაგარი ჭაბუკები... ამ სანახაობაში ნათლად ჩანდა ჩვენი ჯიმის, ჯილაგის, გენის სიდიადე...

მალევე გამგეობამ გამგეობის სხდომაზე დადგინილება მიიღო შალვა და ელიზბარ ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილის ხსენების დღეს 2 ოქტომბერს (ოპონენტებს შეუძლიათ მონახონ არქივში) „ერისთავობის“ სახალხო დღესასწაულის ჩატარების დღის დაწესების შესახებ. დადგენილების შინაარსიც, სამწუხაროდ, ზუსტად აღარ მახსოვს (რა თქმა უნდა, დადგენილებაში იდეა და მისი ავტორი არ ჩაინერებოდა).

ცხვრის პარსვაშიც ტარდებოდა შეჯიბრი... რამდენიმე წუთში, უსწრაფესად აცლიდნენ „ქურქს“ მეცხვარეები ცხვარს...

იდეა ჩემი იყო და დღესაც ვამაყობ ამით ჩემს გულში. ყოველთვის მექვირფასება ახალგორი. ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი და შინაარსიანი ათეული წლები აქ გავატარე. ჩემი შვილების საბუდარია და ძალიან მიყვარს. ახლა კიდევ უფრო მიყვარს – ოკუპირებული, ქართველებისგან დაცლილი, ისე, როგორც დედას უფრო მეტად უყვარს დაჩაგრული შვილი...

ზურნის ჭყვიტინიც კი საამოდ ედებოდა ყურს, როცა ჭიდაობა იმართებოდა, მერე – დიდი კონცერტი, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა სტუმარ-მასპინძლის დალოცვა და ხელგამლილი და გულგამლილი „გზებზე სუფრის გადაფენა“...

ჩემი ნაამბობი „ერისთავობის“ სახალხო დღესასწაულის ნაწილია და მკითხველმა უნდა იცოდეს...

მკითხველს არ ეგონოს, წარსულს მივტიროდე. ნამდვილად არა, უბრალოდ, ერისთავობაზე, საზეიმოდ შეკრებილ ახალგორელებს რომ შევხვდი, მაშინ გამახსენდა. მაშინ ხომ მეც და ჩემს თაობასაც ორი ბედნიერება გვედო ხელისგულზე: ახალგორში ვცხოვრობდით და თანაც, ძალიან ახალგაზრდები ვიყავით.

...საბჭოთა კავშირი რამდენიმე წლის დაშლილი იყო და დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მშენებლობის გზაზე მდგარ ქვეყანაში ვცხოვრობდით. ცხვარმეცხვარეობამაც და „მეცხვარის დღეც“ ჩაილურის წყალი დალია... იმდენი მიტინგები... მიტინგები და შეკრებები ტარდებოდა, ზეიმი ვილას გაგვხსენებია...

ერთხელ, არ მახსოვს ზუსტად, რომელი წელი იყო, გამგეობაში საქმეზე მისული საუბარს შევეყვით მე, ვალოდია შერმადინი და ნუგზარ თინიკაშვილი.

## მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაციისათვის

26 ოქტომბერს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა, სამუშაო შეხვედრა გამართა მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებთან.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა იმსჯელეს განსახორციელებელი სამუშაოების შესახებ. რწმუნებულებს დაევალოთ მოსახლეობასთან უფრო მჭიდრო კომუნიკაციის დამყარება, ოჯახებში არსებული პრობლემების შესწავლა, რათა საჭიროების შემთხვევაში თითოეულმა მოქალაქემ იგრძნოს მათი გვერდში დგომა.

მოსახლეობას შეუძლია პირადად დაუკავშირდეს რწმუნებულებ შემდეგ სატელეფონო ნომრებზე:

- 1) დაბა ახალგორის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული - მაია საბიაშვილი (595 72 3212)
- 2) ბოლის თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული - თემური გოგიჩაშვილი (595 07 7274)
- 3) მოსაბრუნის თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული - ილია ოდიშვილი (577 95 3243)
- 4) გდუს თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული - ლერი შიუკაშვილი (551 58 9616)



5) კორინთის თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული - ივერი მილაძე (595 95 36 98)

6) ლარგვისის თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ლიკა ქენქაძე (599 75 3205)

7) ქარჩოხის თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული - ლერი ბალაშვილი (595 95 4314)

8) ცხრაძმის თემის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ ლარიბაშვილი (598 86 6501).

## სამუშაოში დაბრუნებული მიგრანტების ეფექტიანი რეინტეგრაციის ხელშეწყობისათვის

აქტივობები მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2024 წლიდან განხორციელდება



მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულის, დავით ნოზაძის ხელმძღვანელობით, რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) წარმომადგენლებს შორის საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

საუბრის მთავარი თემა საქართველოში IOM-ის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას - სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების მდგრადი რეინტეგრაციის ხელშეწყობას ეხებოდა. შეხვედრის მონაწილე მხარეებმა განიხილეს 2019-2022 წლებში ორგანიზაციის მიერ სხვა რეგიონებში განხორციელებული პილოტური პროექტები და აქტივობები. მათ შორის ყურადღება გამახვილდა მუნიციპალიტეტებში საინფორმაციო-სა-

კონსულტაციო ცენტრის შექმნის, ბიზნეს-იდეების, ინფრასტრუქტურული და სოციალურ-ეკონომიკური პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების საკითხებზე. როგორც ორგანიზაციის პროექტის მენეჯერ-კოორდინატორმა ნათია კვიციანმა და ასისტენტმა ქეთევან ბერიძემ აღნიშნეს, 2024 წლიდან მსგავსი აქტივობების განხორციელება მცხეთა-მთიანეთის მხარეშიც იგეგმება.

თავის მხრივ, საკითხის მნიშვნელობაზე ისაუბრეს რეგიონისა და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებმა პირებმა. მათი თქმით, საპროექტო ინიციატივების განსახორციელებლად შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოებია ჩასატარებელი, რისთვისაც ადგილობრივ ხელისუფლებასა და ორგანიზაციას შორის კოორდინირებული მუშაობაა საჭირო. შესაბამისად, სამომავლო თანამშრომლობის მიზნით, მხარეებმა, შეხვედრის დასასრულს, აქტიური კომუნიკაციისათვის მზადყოფნა გამოთქვეს.

შეხვედრაში მონაწილეობდა ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი.

„ჩვენი ფესვები ახალგორში!“

ახალგორი თითოეული ახალგორელისათვის ძალიან ძვირფასია. ამ სიტყვის ხსენებისას სიამაყე, სიხარული და სევდა ერთნაირად გვეუფლება. არასოდეს გვწყინდება მასზე საუბარი, ლამაზი მოგონებებით ტკობა...

„ჩვენი ფესვები ახალგორში!“ – ასე ერქვა ღონისძიებას (ორგანიზატორი ესმა ქენქაძე – გაერთიანების დირექტორის მოადგილე), რომელიც ამ დღეებში ნუგზარ ფსუტურის სახელობის კულტურის ცენტრში ჩატარდა. ღონისძიების ძირითადი მიზანი იყო ახალგორის რაიონის ისტორიისა და კულტურის მოკლე მიმოხილვა, ასევე 2008 წლის ოკუპაცია.

ღონისძიება ახალგორის ცენტრალური ბიბლიოთეკის ინიციატივით მოეწყო. ძალზე საინტერესო, შინაარსიანი და ამასთან, ამაღლებელი იყო გამომსვლელების საუბარი. დამსწრე საზოგადოებამ კიდევ ერთხელ „იმოგზაურა“ ქსნის ხეობაში, „მოინახულა“ მავთულხლართებს მიღმა, საკუთარი შვილების მოლოდინში მყოფი მშობლიური სოფლები, ისტორიული და კულტურული ძეგლები...

ღონისძიებაზე წაიკითხეს ახალგორელი პოეტების – მანანა ჩიტიშვილის, დათო ახლოურის, ვიტალი ქენქაძის ლექსები, რომლებშიც ის უდიდესი ტკივილი გამოსჭვივის, რაც მხოლოდ საკუთარ ფესვებს მონყვეტილ ადამიანს შეიძლება ჰქონდეს...

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები: მარიამ ბალხამიშვილი, დათო



გიგაური, ანა გიგინაშვილი, მარიამ პაპუნაშვილი, სალომე ბაშარული, ნინო ჩიგოევი, მიშო ოსეფაიშვილი, ქეთი ბაშარული, თამარ ქასოშვილი და სხვები, კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლები – „ლომისი“, „მომავალი თაობა“, აგრეთვე სამუსიკო სკოლასთან არსებული ხალხური საკრავების ანსამბლი.

ღონისძიება ლამაზად მიჰყავდათ მარიამ ბალაშვილს და თათული ოდიშვილს.

მოსახლეობასთან ერთად ღონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი და საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი, რომლებმაც ისაუბრეს მსგავსი აქტივობების მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით საკუთარ ფესვებს ძალით მონყვეტილი მომავალი თაობის მიმართ...

ჩვენ, ახალგორის კულტურის ცენტრისა და ბიბლიოთეკის კოლექტივი დიდ მადლობას მოგახსენებთ ყველა მონაწილეს და დამსწრე საზოგადოებას. ვიმედოვნებთ, რომ სულ მალე, იქ, ჩვენს ულამაზეს კუთხეში შევხვდებით ერთმანეთს.

**ნინო უივიძე**  
ახალგორის ცენტრალური ბიბლიოთეკის  
საბიბლიოთეკო საქმის კოორდინატორი



## წეროვნის მესამე საჯარო სკოლას ავტორიზაცია მიენიჭა

წეროვნის მესამე საჯარო სკოლა (დირექტორი ირმა ტატიშვილი) საქართველოს საჯარო სკოლებს შორის ერთ-ერთი პირველი ჩაერთო სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ავტორიზაციის პროცესში და მნიშვნელოვანი შრომის შემდეგ წარმატებულ შედეგებსაც მიაღწია.

ვულოცავთ ქალბატონ ირმა ტატიშვილს და სკოლის არაჩვეულებრივ პედაგოგიურ კოლექტივს, გუნდს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ამ ძალზე მნიშვნელოვან პროცესში, ავტორიზაციის წარმატებით გავლას.

სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ავტორიზაციის პროცესში სკოლის შეფასება ხდება ოთხი პრიორიტეტული მიმართულების მიხედვით:

1. სკოლის ფილოსოფია;
2. სასკოლო კურიკულუმი;
3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა;
4. მოსწავლეთა მხარდაჭერა;

ამა წლის 29-30 ივნისს ავტორიზაციის საბჭომ სკოლაში ვიზიტისას განახორციელა სასკოლო საქმიანობის ამსახველი ყველა დოკუმენტის, მასალისა და რესურსის მონიტორინგი და მოამზადა დასკვნა.

ავტორიზაციის საბჭოს გადამწყვეტილებით, სკოლას მიენიჭა ავტორიზაცია, რომლის ყველა მიმართულება ჩაითვალა სრულად შესაბამისად.

ავტორიზაციისათვის მზადებაში სკოლა სრული შემადგენლობით იყო ჩართული. განსაკუთრებული ინტერესი და მოწონება დაიმსახურა სკოლის ერთ-ერთმა პრიორიტეტულმა მიმართულებამ - არაფორმალურმა განათლებამ. სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობები მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, ეროვნული გამოცდების შედეგები, მასწავლებელთა მაღალი კვალიფიკაცია, სკოლის დირექციის/ადმინისტრაციის მზაობა სიახლეების დანერგვისათვის საბოლოო ჯამში ქმნის გარემოს, რომელიც სკოლას რეგიონის ლიდერი სკოლის სტატუსის მოსაპოვებელ გზას გაუადვილებს. - გვითხრა ქალბატონმა ირმა ტატიშვილმა.

## სოციალური მენარმეობის ფორუმის ფარგლებში, წლის სოციალური საწარმოს ნომინაციაზე „იკორთა“ ნაჩვენები

სოციალური მენარმეობის ფორუმს 12-წლიანი ისტორია აქვს, რომელსაც საფუძველი „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ 2012 წელს ჩაუყარა. იგი ყოველწლიური ღონისძიებაა და 2017 წლის შემდეგ „სოციალურ საწარმოთა ალიანსის“ ორგანიზებით იმართება.

ღონისძიების მიზანია სოციალური მენარმეობის კონცეფციის პოპულარიზაცია და საქმიანი კავშირების გაძლიერება სოციალურ მენარმეებსა და სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს შორის. მასში ყოველწლიურად მონაწილეობენ სოციალური მენარმეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სახელმწიფო ინსტიტუციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც მხარს უჭერენ კონცეფციის განვითარებას საქართველოში.

2016 წლიდან ფორუმზე ვლინდება წლის სოციალური საწარმო. თავდაპირველად, ნომინატების გამოსავლენად იქმნება 7-წევრიანი ჟიური, სხვადასხვა სექტორიდან. უშუალოდ ფორუმის დღეს კი, სამი ნომინანტიდან ერთი ფარული კენჭისყრის გზით, იღებს წლის სოციალური საწარმოს ტიტულს.

სოციალური მენარმეობის მე-12 ფორუმი იმართება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „სოციალური მენარმეობის განვითარება მდგრადი და ინკლუზიური საზოგადოებისთვის“ ფარგლებში.

წელს, 7-წევრიანი ჟიურის გადამწყვეტილებით, ნომინაციის ფინალისტები „თავისუფალი სივრცე“, „ედენა“ და „იკორთა“ არიან. სამი ნომინანტიდან ერთი კი, 8 ნოემბერს, სოციალური მენარმეობის რიგით მე-12 ფორუმზე წლის სოციალური საწარმო 2023-ის ტიტულს მოიპოვებს. ღონისძიებას ევროკავშირის მხარდაჭერით სოციალურ საწარმოთა ალიანსი მართავს.



სოციალური საწარმო „იკორთა“ ტიხრული მინანქრის სახელოსნოა, რომელმაც საქმიანობა 2011 წელს დაიწყო წეროვნის დევნილთა დასახლებაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ. ადგილობრივი ქალების მიერ ჩადებული მცირე ინვესტიციით შექმნილი სოციალური საწარმო, დღეს უკვე წარმატებული მინანქრის სახელოსნოს წარმომადგენს, რომელიც დევნილთა დასახლებაში ქმნის სამოქალაქო და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობებს.

აქ დასაქმებულმა ქალებმა შეიძინეს ახალი პროფესიები, გამოახსეს დასაქმების საშუალებები და წარმატებებს აღწევნენ...

ნომინირებული სამივე სოციალური საწარმოს უკან ქალები დგანან ან სწორედ მათი გაძლიერების მიზნითაა შექმნილი — წლევანდელ ნომინაციასაც სწორედ ეს გამოარჩევს.

8 ნოემბერი სოციალურ საწარმოთა ალიანსის დაფუძნების დღეა და წლევანდელი ფორუმი სწორედ ამ თარიღს ემთხვევა.



# ახალგორის სასპორტო სკოლის წარმატებული ოქტომბერი

2023 წლის 1 ოქტომბერს, „ერისთავობას“, ნეოგონის დევნილთა დასახლებაში საზეიმოდ გაიხსნა მარტივი ტიპის ქართული ჭიდაობის არენა, სადაც ჩატარდა შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავების ხსენების დღისადმი მიძღვნილი ქართული ჭიდაობა.

შეჯიბრი ჩატარდა ხუთ წონით კატეგორიაში: 55კგ. 65კგ. 75კგ. 80 კგ. და +80 აბსოლუტური წონითი კატეგორია. დანესებული იყო პრიზებიც: პირველ ადგილზე გასულისთვის – 200 ლარი, მე-2 ადგილისთვის – 150 ლარი, მესამე ადგილისთვის – 100 ლარი.

ტურნირზე წარმატებით გამოვიდნენ ახალგორის სასპორტო სკოლის მოსწავლეები, მათ თითქმის ყველა წონით კატეგორიაში, გარდა 80- კგ-ისა, პირველი ადგილები მოიპოვეს. საბოლოოდ კი ადგილები წონითი კატეგორიების მიხედვით ასე განაწილდა:

55 კგ.: I ადგილი - გიორგი ჯოჯიშვილი - ახალგორის სასპორტო სკოლა.

II ადგილი - ამირან მასპინძელაშვილი - წილკანი.

III ადგილი - გიორგი კახნიაშვილი - ახალგორის სასპორტო სკოლა.

65 კგ.: I ადგილი - ნიკოლოზ კობერიძე - ახალგორის სასპორტო სკოლა.

II ადგილი - გიორგი ფიცხელაური - ჟინვალი.

III ადგილი - ანდრო ჯავახიშვილი - ახალგორის სასპორტო სკოლა.

75 კგ. I ადგილი - ლუკა პავლიაშვილი - ახალგორის სასპორტო სკოლა.

II ადგილი - ნიკა ბირბიჩაძე-მცხეთა.

III ადგილი - სოსო შარიფაშვილი - მუხრანი.

80 კგ. I ადგილი-საბა ხალიშვილი - ჟინვალი.

II ადგილი - გიორგი მეტრეველი - ახალგორის სასპორტო სკოლა.

III ადგილი - შოთა ფავლენიშვილი .

+80 აბსოლუტური წონითი კატეგორია:

I ადგილი - ვაჟა კაკილაშვილი - ახალგორის სასპორტო სკოლა.

II ადგილი - გიგა თათრიშვილი - ახალგორის სასპორტო სკოლა.

III - ადგილი საბა ხალიშვილი.

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამარჯვებული ვაჟა კაკილაშვილი დაჯილდოვდა ცხვრით; ასევე, ის დააჯილდოვა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელმა სპეციალური პრიზით.

არანაკლებ შთამბეჭდავი გამარჯვებები მოიპოვეს სასპორტო სკოლის წარმომადგენლებმა 2023 წლის 7 ოქტომბერს გამართულ ქურთის მუნიციპალიტეტის ღია პირველობაზე ქართულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს მცხეთის, დუშეთის, თიანეთის და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში შემავალი სასპორტო



სკოლის მოჭიდავეებმა. ტურნირი გაიმართა ახალგორის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის ქართული ჭიდაობის არენაზე.

ახალგორის სასპორტო სკოლიდან ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

**ჩემპიონები:** 30 კგ.-ში - ნიკა ჯარმელიშვილი, 40 კგ.-ში - გიგა ჯარმელიშვილი, 45 კგ.-ში - ვატო მორბედაძე. 50 კგ.-ში - გიორგი ჯოხაძე. 60 კგ.-ში - თემურ მილაძე, 65 კგ.-ში - დავით ბეგაშვილი, 70 კგ.-ში - ლუკა კახნიაშვილი, მძიმე წონაში - ვაკო ბაშარული და აგრეთვე აბსოლუტურში - ვაკო ბაშარული.

II ადგილები დაიკავეს: 35 კგ.-ში - რობი კახნიაშვილი, 40 კგ.-ში - ავთო ოდიშვილი, 45კგ.-ში - საბა ქასოშვილი, 65 კგ.-ში - დათა ბერუაშვილი, მძიმე წონაში - ჯონი ხეთაგური, აბსოლუტურში - დავით ბეგაშვილი

III ადგილები დაიკავეს: 55 კგ.ში - გიორგი კახნიაშვილი, 60 კგ.-ში ნიკა ბლიაძე, აბსოლუტურში - ჯონი ხეთაგური.

21 ოქტომბერს კი თიღვის მუნიციპალიტეტის სასპორტო დანესებულებამ ახალგორის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის დარბაზში ჩატარა ღია პირველობა ჭიდაობა ძიუდოში, 2009-2010 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის.

შეჯიბრში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სპორტსკოლების ორმა გუნდმა, წილკნის, საგურამოს, გალავნის, კოდის და ჩვენი სასპორტო სკოლის მოჭიდავეებმა.

ამ შეჯიბრში ჩვენი სასპორტო სკოლიდან ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

**I ადგილები დაიკავეს:** 42 კგ.- ჯარმელიშვილი გიგა, 46 კგ.- ქასოშვილი საბა, 60 კგ.- მილაძე თემური.

**II ადგილები დაიკავეს:** 42 კგ.- კახნიაშვილი რობი, 55 კგ.- მალიაძე ავთანდილი, 66 კგ.- ბერუაშვილი დათა.

**III ადგილები დაიკავეს:** 24 კგ.- მეტრეველი გაბრიელი, წყარუაშვილი თევდორე. 27 კგ.- თათრიშვილი ანდრია. 30 კგ.- ილურიძე ნოდარი, ჯოხაძე მერაბი. 34 კგ.- ჟამურელი ნიკა. 46 კგ.- ჯოხაძე ლუკა. 55 კგ.- კახნიაშვილი გიორგი. +66 - ბეგაშვილი გიორგი.

ვულოცავთ ყველა გამარჯვებულს, მათ მწვრთნელებს და სასპორტო სკოლის ხელმძღვანელებს ამ შთამბეჭდავ შედეგებს! წინსვლას და დიდ წარმატებებს ვუსურვებთ! რედაქცია კვლავაც აქტიურად მიადევნებს თვალს ჩვენი სპორტსმენების ასპარეზობას.

# 14 ოქტომბერი - მსხათობა-სვეტიცხოვლობა

სვეტიცხოვლობა იგივე მცხეთობა საეკლესიო დღესასწაულია, რომელიც ყოველწლიურად - 14 ოქტომბერს აღინიშნება. მასთან დაკავშირებით წირვა-ლოცვა მთელი საქართველოს მოქმედ ეკლესიებში აღინიშნება, თუმცა ფოკუსში, ამ დღეს, ქალაქი მცხეთაა. სვეტიცხოვლის დიდ საკათედრო ტაძარში ადგილობრივი და თბილისიდან ჩასული მრევლი მთავარ საზეიმო წირვას ესწრება. სწორედ აქ არის დაფლული იესო ქრისტეს კვართი და მისი სადიდებელი დღესასწაულიც აქედან გამომდინარეობს: “კვართისა საუფლო სა და სვეტისა ღმრთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა”. თავად მცხეთის შუაგულში კი სხვადასხვა გასართობი ღონისძიება იმართება.



რას უპავშირდება სვეტიცხოვლობა?

დღესასწაული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ არის დაწესებული. გადმოცემის მიხედვით, იერუსალიმში იესოს ჯვარცმისას საქართველოდანაც ჩავიდნენ ურიები — ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი. იესო ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ ებრაელებმა მისი ტანსაცმელი განიყვეს, თუმცა როგორც ნანინასწარმეტყველები იყო, კვართი უნდა ყოფილიყო მთლიანი და სასწაულე-ბრივად იგი ელიოზსა და ლონგინოზს ხვდათ წილად — მცხეთაში მცხოვრებ ებრაელებს, რომლებმაც სინმინდე მცხეთაში ჩამოაბრძანეს. ელიოზის დამ, სიდონიამ კი უფლის კვართი გულში ჩაიკრა და სული განუტევა. ელიოზმა თავისი და



წმინდა სიდონია

კვართთან ერთად დაკრძალა. მის საფლავზე კი კვიპაროსის ხე ამოვიდა.

ქრისტეს კვართისა და ქართლის გაქრისტიანების სურვილმა, წმინდა ნინო იერუსალიმიდან მცხეთაში ჩამოიყვანა. მან ამცნო მეფე მირიანს უდიდეს სინმინდის შესახებ, რომ სასახლის ბაღში იყო დაკრძალული უფლის კვართი და ილია წინასწარმეტყველის ხალენი. მეფის მირიანის და დედოფალ ნანას მეფობის დროს, წმინდა ნინოს რჩევით, კვიპაროსის ადგილზე ტაძრის მშენებლობა გადაწყვიტეს. მირიან მეფის ბრძანებით, სწორედ ამ ხისგან ეკლესიისთვის 7 სვეტი დაამზადეს, რომლიდანაც



წმინდა მეფე მირიანი და დედოფალი ნანა

ერთ-ერთი სვეტი მშენებლებს არ ემორჩილებოდა. წმინდა ნინომ იხილა „ხილვა განსაკრთომელი“ — ნათლის სვეტი ცეცხლის სახით ჩამოვიდა ზეციდან და იმ გადაჭრილი ნაძვის ძირიდან, საიდანაც მოკვეთეს, ხუთიოდე მეტრის სიმაღლეზე გაჩერდა. გაღვიძებულს სვეტი აღმართული დახვდა სწორედ ამ სახ-

ით. ამ სასწაულმა მთელი ხალხი კიდევ უფრო განამტკიცა რწმენაში და ნათლის სვეტის თაყვანისსაცემად მცხეთაში შეკრიბა.

ქართველებს მუდამ სწამდათ, რომ კვართი სწორედ სვეტის ამალეების ადგილას იყო დაფლული. სვეტი საუკუნეების მანძილზე, სასწაულებს ახდენდა. გადმოცემის თანახმად, მიახლოებისას სნეულნი ინკურნებოდნენ, ბრმებს თვალები ეხილებოდათ, დავრდომილნი სიარულს იწყებდნენ.

### სვეტიცხოვლის ტაძარი

ვიდრე სვეტიცხოვლის ტაძარს საპატრიარქოს საკათედრო ტაძრის ტიტული ღირსეულად მიენიჭებოდა და ვიდრე საქართველოს მდიდარ მემკვიდრეობად იქცეოდა, დიდი გზა განვლო. თავდაპირველად ხის პატარა ეკლესია მირიან მეფის დროს, წმინდა ნინოს რჩევით, IV საუკუნეში სასახლის ბაღში აშენდა. ტაძარმა სახეცვლილება არაერთხელ განიცადა. Vს-ში, დაახლოებით 500 წელს, ვახტანგ გორგასალმა ხის ტაძრის დანგრევის შემდეგ, ქვის დიდი ეკლესია, თორმეტი მოციქულის სახელზე ააგო. ეს ტაძარი აზულ ყასიმს X საუკუნეში გადაუნვაგვს. თუმცა, გიორგი I-ის მეფობის დროს, XI ს.-ში მელქისედეკ კათოლიკოსმა რესტავრაცია საფუძვლიანად გააკეთა. ხუროთმოძღვარი კი არსუქიძე გახ-

31 ოქტომბერი - ხსენება ნეიფის მოციქულის ლუკა მახარებლისა

წმიდა მოციქული და მახარებელი ლუკა სირიის ანტიოქიაში დაიბადა. იგი განათლებულ ბერძენთა წრეს ეკუთვნოდა და პროფესიით ექიმი იყო. ქრისტეს შესახებ რომ ესმა, ლუკა პალესტინაში ჩავიდა და აქ თავად უფლისგან ეზიარა მაცხოვრებელ სწავლებას. ჯერ კიდევ მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ჟამს წმიდა ლუკა, როგორც ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, უფლის მიერ ცათა სასუფევლის შესახებ პირველი ქადაგებისთვის გაიგზავნა. აღდგომის შემდეგ უფალი იესო ქრისტე ემაუსში მიმავალ ლუკას და კლეოპას გამოეცხადა.

ლუკა თან გაჰყვა წმიდა მოციქულ პავლეს მეორე მისიონერულ მოგზაურობაში, რის შემდეგაც ისინი ერთმანეთს არ განშორებია. უფლის რჩეული პავლეს გვერდით დარჩა მაშინაც, როცა იგი ყველა თანაშემწემ მიატოვა (2 ტიმ. 4,10). ლუკა მახარებელს ეკუთვნის „საქმე მოციქულთა“. იგი ოთხთავის გაგრძელებაა და მოგვითხრობს წმიდა მოციქულთა შრომასა და ღვანლზე მაცხოვრის ამალღების შემდეგ. როგორც უდიდეს საეკლესიო მოვლენას, თხრობისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოციქულთა კრებას (51 წ. ქრისტეს შემდეგ), რომელმაც დოგმატური საფუძველი დაუდო იუდაიზმისგან ქრისტიანობის გამიჯვნას და მსოფლიოში მისი დამოუკიდებელი გავრცელების საწინდარი შეიქმნა (საქმე. 15, 6-29).

ლდათ. 1283 წელს სვეტიცხოველი მინისძვრამ დააზიანა. XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალემ ტაძრის გუმბათი აღადგინა. XVI-ის I ნახევარში კი ალექსანდრე I-ის მეფობის ხანაში, მას მერე, რაც ტაძარი თემურ-ლენგმა დაანგრია. 1656 წელს როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის თაოსნობით კვლავ აღადგინეს გუმბათის ყელი. 1675 წელს კი კეთოლიკოს ნიკოლოზის ბრძანებით, გოდოლიც განუახლებიათ და იგი გრიგოლ გურჯვარიშვილისთვმა „მოქცევაი ქართლისაის“ სცენებით მოხატა.

ზურაბ იმნაძის ბახსენება

ჩემო სიყრმის შვილო, ჩემო მონუნელებლო ტკივილო, ზურაბ! 7 წელი გავიდა, რაც უშენობის ღია ჭრილობით ვცხოვრობ, შვილო! დედის გულის მალამოვ, უწყინარო, რად დაგებედა ასეთი მწარე ბედი, შვილო! ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდი, არც სიტყვით და არც საქმით არავის არაფერს დაუშავებდი, - ნუთუ ნაადრევად ჩამქრალი სიცოცხლე იყო შენი კეთილი გულის საზღაური?!

გაიზარდნენ შენი შვილები, შვილო! ისეთი ლამაზები არიან, ჩემი თავი მენანება მათ საცქერლად... შენ უნდა გეყურებინა მათთვის, შენ უნდა დაგეზარდა, შენ უნდა გაგებარა, მოგიკვდეს დედა!

ვცხოვრობთ და ვცოცხლობთ, უშენოდ, შვილო! დავბერდით მეც და მამაშენიც, დარდმა უფრო დაგეზარა, მაგრამ ჯერ მაინც თავს ვიმაგრებთ, ჯერ ისევ ვჭირდებით შენს შვილებს... მათ შევცქერით, შენ გეძებთ მათში, ჩემო ცისფერთვალე, ლამაზო შვილო!

სულს გიბერავდი, ისე გაგზარდე; სულ შენ გვერდით ვიყავი, შენ უფრო გათამამებდი, დედა მოგიკვდეს, ზურო!

რა სიცოცხლეა შვილმკვდარი



დედის სიცოცხლე, მაგრამ ჭირს გამაგრება სცოდნია მართლაც...

მართოდ ვერჩები თუ არა, სულ შენ მოგელაპარაკები, გენაცვალოს დედა! შენთან ლაპარაკით ვიოხებ ამ დათუთქულ გულს... შენს ჭრილობებს ვეფერები, შვილო... თვეზე მეტხანს საავადმყოფოს კარზე გამოვალამეთ, იმედით ველოდით, გონზე მოხვიდოდი და დაგვიბრუნდებოდი, მოგიკვდეს დედა... ხანდახან სიცოცხლის ნიშანწყალს ავლენდი, თუ ვინმე დაგელაპარაკებოდა, ცრემლები გცვიოდა თვალებიდან, დედაშენის გულზე დასაყრელი ცრემლები...

ჩუმ ჯავრს სჭამენ შენი ძმები, შვილო, ისინიც შენს შვილებს ეფერებან, შენ მოსახსენიებელს არ გაკლებენ... დედა მოგიკვდეს! ნათელი დაგიმკვიდროს უფალმა, ჩემო ტკბილო შვილო, მონუნელებლო ტკივილო. მშვიდად განისვენე!

ციური ბეჟიტაშვილი-იმნაძე

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებით იუწყება ბოლის საკრებულოს ყოფილი რწმუნებულის რობერტი (რობინზონ) გვრიტიშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რობ(ო)რ ალინაშენაძე სკპიტციხოვლობა

მთელი ქვეყნის მასშტაბით სვეტიცხოვლობა იგივე მცხეთობა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული - 1991 წლიდან აღინიშნება. ამ დღეს თბილისიდან, ქართლიდან და კახეთიდან მლოცველები მცხეთაში იკრიბებოდნენ. ისინი სვეტიცხოველში ღამის გასათევად წინა დღით მიდიოდნენ.

დღესასწაულზე წირვა-ლოცვასთან ერთად ბაზრობა, ცეკვა-თამაში, ჭიდაობა და ლხინი იმართებოდა. ტრადიცია დღემდე ნარჩუნდება და სვეტიცხოვლობის აღსანიშნავად მისულ სტუმრებს განსხვავებული ღონისძიებებით,

ხალხური, ფოლკლორული მუსიკის კონცერტები, ბაზრობითა და გამოფენებით მასპინძლობს მცხეთა.. იმართება სახალხო სეირნობა მცხეთის ქუჩებში.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამ დღეს მეფე მირიანისა და დედოფალ ნანას, წმინდა სიდონიასა და აბიათარის ხსენებასაც აღნიშნავს. ამასთანავე, 14 ოქტომბერს არის მეღქისედეკ კათალიკოსის ხსენების დღეც, რომლის დამსახურებითაა სვეტიცხოვლის საბოლოო სახე მიღებული.

სვეტიცხოვლობა სახელმწიფო, უქმე დღედ არის გამოცხადებული. ამიტომაც გვაქვს შესაძლებლობა ყოველწლიურად დღსასწაულის გულისცემა უშუალოდ მცხეთაში შევიგრძნოთ.

## მერაბ გელაშვილმა საქართველოს ტურნირზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა

კვიპროსში, ქ. ლარნაკაში დასრულდა “სერია ა” - ს უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ტურნირი უფროსებს შორის, რომელშიც მონაწილეობდა 70 ქვეყნის 807 სპორტსმენი.

საქართველოს სპორტული კარატეს ეროვნული ფედერაცია 12 სპორტსმენით იყო წარმოდგენილი.

+84 წონით კატეგორიაში ახალგორელმა მერაბ გელაშვილმა 5 მოგებული ბრძოლით ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ვულოცავთ მერაბს ამ მიღწევას და კიდევ უფრო დიდ წინსვლას და წარმატებას ვუსურვებთ!



## პეტარანების დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

საქართველოში ვეტერანის დღე 2014 წლიდან აღინიშნება. 17 ოქტომბერს, ჩვენს ქვეყანაში ვეტერანის დღე აღინიშნება. ეს დღე, რომელიც 2014 წელს დაარსდა, ეკუთვნის ყველა თაობის ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანს, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ვეტერანებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების მხარდაჭერა იმ ფასდაუდებელი ღვაწლისთვის, რაც ქვეყნისთვის გაიღეს.

სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით, 17 ოქტომბერს, ომის ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური სამმართველოს ინიციატივით, ახალგორის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის დარბაზში ჩატარდა ტურნირი ქართულ ჭიდაობაში, 2007-2008-2009 წლ. დაბადებულთა შორის.

ჩვენი სასპორტო სკოლიდან ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:

### I ადგილები დაიკავეს:

- 35 კგ.- კახნიაშვილი რობი
- 40 კგ.- ჯარმელიშვილი გიგა
- 45 კგ.- ქასოშვილი საბა
- 60 კგ.- ბლიაძე ნიკა
- 65 კგ.- ბეგაშვილი დავითი
- 70 კგ.-კახნიაშვილი ლუკა
- მძიმე +70კგ.- ხეთაგური ჯონი

### II ადგილები დაიკავეს:

- 40 კგ.- ოდიშვილი ავთო
- 45 კგ.- მორბედაძე ვატო
- 60 კგ.- შერაზადიშვილი ნიკა

### III ადგილები დაიკავეს:

- 45 კგ.- ზანგალაძე ვასიკო
- 55 კგ.- კახნიაშვილი გიორგი
- 65 კგ.- ჟამურელი გუჯა
- მძიმე +70 კგ.- ბაშარული ვაკო



ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები სიგელებით დააჯილდოვა საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტმა.